



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №03

2012 წლის 17 იანვარი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის

საჯარო სკოლაზე ჯემალ ქათამაძის

სახელის მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 16-ე მუხლის მესამე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №-194 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2¹ პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლას ჯემალ ქათამაძის სახელის მინიჭებაზე.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

